Sermon 11.07.2021- (georgian)

,, და გაგვათავისუფლე ჩვენ ყოველიფერი საჭიროებისაგან"

საღვთო ლიტურღიის დაწყებისას იმ ლოცვათა შორის, რომლოთაც ჩვენ ღმერთს და ყველა სხვა წმინდა მსახურების დროს, მივმართავთ, ემატება ,,და დაგვიფარე ჩვენ ყველაფერი... განსაცდელისგან."

ჩვენმა შემქმენლმა, როდესაც ადამიანი შექმნა, მოათავსა იგი ,,ტკბილ სამოთხეში" (დაბ. 12-15). იქ ადამიანი ტკბებოდა ყოველივე სიკეთით, რომელიც ღმერთმა უბოძა მას, რათა ბედნიერი ყოფილიყო. მაგრამ ეშმაკის შურის გამო ადამმა და ევამ დაკარგეს სამოთხე მისი სიკეთეებით, იმის შემდეგ ადამიანი, მოიპოვებს რა სარჩოს თავისი ოფლით, უნდა ეცადოს ყველანაირი ძალისხმევით იზრუნოს იმოსთვის, რაც აუცილებელია ცხოვრებისთვის.

ამ სიძნელეებს ემატება აგრეთვე იმათი სიხარბეც, რომელიც ჩაგრავს არა მარტო ცალკეულ ადამიანებს, არამედ ერებსაც, რომლებსაც როგორც მონებს იყენებენ, ან ბუნებრივი საბადოების მინერალებს და დედამიწის ენერგეტიკულ მარაგს (ოქრო, ძვირფასი ქვები, ლითონის საბადოები და ა.შ.), რის შედეგადაც ადგილობრივი მცხოვრებლები ხშირად კარგავენ აუცილებელ საზრდოს, ხოლო ექსპლუატატორები ამდიდრებენ თავიანთ აურაცხელ სიმდიდრეს. ასეთი ექსპლუატაცია ძლიერის მიერ სუსტის მიმართ ხდება თითქმის ყველა ქვეყანაში, აგრეთვე ე.წ. განვითარებულ ქვეყნებშიც.

რადგან ჩვენ, ქრისტიანები, ვცხოვრობთ შესაბამის საზოგადოებაში, ბუნებრივია, რომ ჩვენც სხვა ახლობლებთან ერთად ძიროთადი საჭიროებების წინაშე ვდგებით. როდესაც საზოგადოება განიცდის ეკონომიურ კრიზსს,პანდემიას - როგორც ახლა - და სხვა სოციალურ კატასტროფებს, იზრდება უმუშევრობა, შემოსავალი იკლებს, ხოლო ჩვენი მოთხოვნილებები იზრდება. ამიტომ ეკლესია, როგორც მოსიყვარულე დედა, მიმართავს თხოვნით მას, ვისაც ერთადერთს შეუძლია დაეხმაროს თავის შვილებს გათავისუფლდეს ჩვენი ცხოვრების ძიროთადი მოთხოვნილებებისგან, რომ ჩვემ შეგვეძლოს ადამიანურად ვიცხოვროთ.

ბუნებრივია, რომ ჩვენც შევეცდებით ღვთის დახმარებით გავაკეთოთ ის რაც შესაძლებელია, რათა პატიოსანი შრომით დავიკმაყოფილოთ როგორც ჩვენი მოთხოვნები, ასევე ჩვენი ახლობლების, როგორც საჭიროა. რა სიძნელეებსაც არ უნდა შევხვდეთ, შევეცადოთ დავძლიოთ უფლის მადლით. მაგრამ აქ რაღაცის მიმართ ყურადღებით უნდა ვიყოთ. ჩვენ უნდა ვეცადოთ, და არა გადაჭარბებული განგაშითა და შეშფოთებით. ამას გვეუბნება უფალი ჩვენი: ,,ნუ ჰზრუნავთ სულისა თქვენთვის, რა შეიმოსოთ", (მათე, 7,25). ის არ გვეუბნება ჩვენ, რომ არ ვიზრუნოთ საჭიროებისათვის, ანდა არ ვიმუშაოთ, არამედ რათა ჩვენ არ ,,გვჭამდეს" გადამეტებული მღელვარება და უსაზღვრო შეშფოთება. და იმის გამო, რომ დაგვიცავს ჩვენ ტკივილის მომტანი ამგვარი გარემოებისაგან, რასაც ვისმენთ დღევანდელ წაკითხულ სახარებაში, ის მაგალითად ჩიტებს გვისახელებს და მინდვრის ყვავილებს. და ბოლოს მშვენივრად გვანუგეშებს: ,,მამა თქუენი ზეცათა ზრდის მათ. არა - მე უფროს

თქუენ უმჯობეს ხართა ფრინველთა?"(მათე 6,26). სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ღმერთი - მამა ჩვენი ასაზრდოებს ფრინველებს, თავის შვილებზე, ჩვენზე, როგორ არ იზრუნებს, რომლებიც უფრო ძვირფასნი არიან.

მეორე, ჩვენთვის ძალზედ საყურადღებო იმაში მდგომარეობს: ლტოლვაში შევიძინოთცხოვრებისთვის აუცილებელი რამეები, არ უნდა ჩავვარდეთ უსაზღვროებაში. არის იმის საშიშროება, რომ ჩვენ არ დავკმაყოფილდებით იმით,რაც შევიძინეთ და რითაც უზრუნველყოფთ კომფორტულად ცხოვრებას.იმიტომ რომ, როდესაც ჩვენ ვუყურებთ სხვა ადამიანებს, რომლებთაც უფრო მეტი აქვთ, ვიდრე ჩვენ, ჩვენ გვეუფლება სიხარბე და პატივმოყვარეობა, გვინდა ესეც შევიძინოთ, და თუ ეს აუცილებელიც არ არის. მიზანს რომ მივაღწიოთ უსაზღვროთ ვისჯებით, იმ დონემდეზეც კი, რომ არ შეგვიძლია ეკლესიაში წასვლა, ვიხაროთ ოჯახთან ერთად, ვინადგურებთ ჯანმრთელობას და ბოლოს და ბოლოს ისიც აღარ გვიხარია, რაც უფალმა გვიბოძა და მხოლოდ იმაზე ვწუხვართ, რომ არ შეგვიძლია იმის შეძენა, რაც სხვებს აქვთ! ამიტომ ღვთივშეგონებული მოციქული პავლე გვიჩვენებს ჩვენ: ხოლო მაქუნდეს თუ საზრდელ და საფარველ ხორცთა, ამათ კმავიყოფდეთ ჩუენ. ხოლო რომელთა ჰნებავს სიმდიდრე, შეცვიან განსაცდელსა და საფრთხესა და გულის თქუმათა მრავალთა უცნაურთა და მავნებელთა, რომელთა დაანთქნიან კაცნი მოსასრველად და წარსაწყმედელად" (1ტიმოთეს მიმართ 6:8-9).

ამ სიტყვების თანახმად ეკლესიამ გამოთქვა თხოვნა, რომელიც ზემოთ ვთქვით: ,, დაგვიფარე ჩვენ ყოველგვარი... განსაცდელისაგან", რომ არ გვქონდეს ნაკლოვანება ცხოვრებაში, არ ვაქცევთ იმას ყურადღებას, რომელიც არაა ყურადსაღები, როგორც წერს პავლე მოციქული: ,, ხოლო ძალ - უც ღმერთსა ყოველივე სახმარი გარდამეტებად თქუენდა, რათა ყოველსა შინა მარადის ყოველივე უნაკლულოდ გვქონდეს და ჰმატებდეთ ყოველსა ზედა საქმესა კეთილსა" (2 კორ. 9,8).

საყვარელო ჩემო ძმებო და დებო!

როგორც თვითკონტროლის მქონე ადამიანებმა, არ ვიზრუნოთ საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ნივთებისთვის, რომელიც ცდილობს იმაში დაგვარწმუნოს, რომ ჩვენ რაღაცა ყოველთვის გვაკლია, რომ ვიყიდოთ ესა თუ ის თითქოს და ფასდაკლებებით! მოდით გავაკეთოთ ჩვენი არჩევანი ნამდვილად საჭირო რამისთვის ჩვენს ცხოვრებაში. და არ დავივიწყოთ: მცირედით კმაყოფილება, როდესაც აუცილებელსა და ცოტას ვიღებთ - ის ძალიან მნიშვნელოვანი სათნოებაა. შინაგანად მიღება იმ მოვლენისა, რომ ,, ეს ჩემთვის საკმარისია და არაა მეტი საჭირო", აშოშმინებს ადამიანს და ათავისუფლებს ზედმეტი აფორიაქებისგან. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი გიხაროდეს ის, რაც უკვე გაგაჩნია.

ამ რთულ დროს დაე გაიგონოს უფალმა ჩვენი ვედრება თავისი სიყვარულით და დაე მიმადლოს მთელს მსოფლიოს ყველაფერი აუცილებელი მშვიდობიანი ადამიანური ცხოვრებისათვის.

ამინ.